ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 11

ქ. ონი 28. 11. 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 17 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, თორნიკე მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ნინო გობეჯიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ბიძინა ყიფიანი, მადლენა მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ბიჭიკო კერვალიშვილი, შალვა კახეთელიძე, ეკა მაისურაძე, ანა ბაქრაძე, თამაზ მეტრეველი, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: გივი მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ლევან ორდინიძე, გიორგი მეშვილდიშვილი, შუქურა ჯაფარიძე, როსტომ ლობჯანიძე, მერაბ ბიჭაშვილი, ვლადიმერ ბერელიძე, ბესიკი მაისურაძე, რევაზ საბანაძე, ნოდარ ბურდილაძე, ნონა მაისურაძე, ნინო ბერუჩაშვილი, თეიმურაზ ცეცაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, თამილა არჩვაძე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გივი ბენდიანიშვილი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - თინათინ ბროლაშვილი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი მარიამ გობეჯიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი-თეიმურაზ გრძელიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი-ირინე გობეჯიშვილი, მოქალაქეები საკაოს თემიდან-ნინო ბერელიძე, კახა ბერელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მე-3 კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე

თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

2.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის რეორგანიზაციაზე (გამოყოფა) თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე/

თანამომხს. მარიამ გობეჯიშვილი-მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი/

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ,, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე

თანამომხს. თეიმურაზ გრძელიშვილი- ეკონომიკის სამსახ. უფროსი/

4. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ,, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აპრილის #9 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე

თანამომხს. თეიმურაზ გრძელიშვილი- ეკონომიკის სამსახ. უფროსი/

5. ონის მუნიციპალიტეტის ქ. ონისა და სოფ. ღების ადმინისტრაციული ერთეულების განაშენიანების გეგმის შემუშავების ინიცირების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე

თანამომხს. გივი ბენდიანიშვილი-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მე-3 კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე

თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მე-3 კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის რეორგანიზაციაზე (გამოყოფა) თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე/

თანამომხს. მარიამ გობეჯიშვილი-მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის რეორგანიზაციაზე (გამოყოფა) თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მოისმინეს: 3. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ,, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე

თანამომხს. თეიმურაზ გრძელიშვილი- ეკონომიკის სამსახ. უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ,, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების გეგმით წარმოდგენილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სოფ. პიპილეთში (სორტუანი), საჭიროა ამოღებულ იქნას აღნიშნული გეგმიდან, რადგან მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთება თუ რა მიზნით უნდა იქნეს ქონება გასხვისებული. კენჭისყრაზე დგება საპრივატიზაციო გეგმა, მხოლოდ სოფ. ჭალაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი მხოლოდ სოფ. ჭალაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისების თაობაზე

მოისმინეს: 4. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ,, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აპრილის #9 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე

თანამომხს. თეიმურაზ გრძელიშვილი- ეკონომიკის სამსახ. უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ,, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აპრილის #9 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრაზე დადგა განკარგულების პროექტი მხოლოდ სოფ. ჭალაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი მხოლოდ სოფ. ჭალაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის ქ. ონისა და სოფ. ღების ადმინისტრაციული ერთეულების განაშენიანების გეგმის შემუშავების ინიცირების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე

თანამომხს. გივი ბენდიანიშვილი-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი განაშენიანების გეგმის ინიცირების მოწონების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი ერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკაოს თემის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სოფლის პრობლემებზე. კერძოდ, მოითხოვეს ბასუკაანთ უბანში არსებული ხიდის, ადმინისტრაციული შენობის და ზედა საკაოში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე